

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

სკლის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში; გარეშე  
მცნ. უკრებთაჟის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дрoбнa“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერა „დროებისა“ დიას 5 კაპიკი.

# დროება

ბამონის ყოველ-დღე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანთი; პირველი 50 მ. რედაქციაშივე  
ნებისა ითვლება მათგან დატვირთვას დატვირთვას  
ლობაზედ.

თუ საქართველო მოითხოვს, რედაქცია ვახშარტის და ქუთაის-  
კუბის დასაბუჯად გამოავსავს წინაღობს. დაუბუჯად წინა-  
ღობს რედაქცია ვერ დაუბუჯებს ავტორს.

Объявения изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл  
Л. Метцль, Москва, Петровка, № 6.

## შიილება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა ვახეთის

### „დროებაზე“

ივლისის ჰირველიდამ წლის დამლევამდე

### ფასი ხუთი მანათი

საფლის მანწავლებელთათვის

### ათხი მანათი

ვისაც დაეძღუე არ შემოუტანას მკურნე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს  
დასაქრონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისს 1-დამ გასე-  
თა მოესპოთ.

#### მართული თიბარი

გვარ ს. ივნის ს 30

მართული სტენის მოყვარეთაგან  
წარმოდგენილი იქნება

ქრის დ რ ი ბ ე ნ ს ს ს ს ს ს ს ს ს ს

#### I თილისის ხანი

#### II

#### ჩინი მომთივიდა

#### III

#### დივარტისმენტი

- ა) მართულის ხმებს იმღერებს 15  
კაცისაგან შედგენილი ხორი
- ბ) ძინტოურ სტენებს წაიკითხავს  
ზ. სარაკაძე
- გ) ზღებურ სტენებს წაიკითხავს  
ა. ნებიერიძე

დ) სომხურ სტენებს წაიკითხავს  
ზ. სარაკაძე

ე) სტენებს ჩვენი ცხოვრებიდამ და  
ლექსებს წაიკითხავს ა. ახანზაროვი.

#### ლეკური

ა) ლეკურს ითამაშებენ გამოჩენი-  
ლი მელეკურენი ბ.ბ. ზ. ჩრეული-  
შვილი ს. იოსებაშვილი ი. სამცია-  
შვილი, ზამელაური და სხვანი.

ბ) ძინტოურს ითამაშებენ ბ.ბ. ი.  
იხანძე და ზ. სარაკაძე

გ) ჩინტოურს ხანჯლებით ითამაშებს  
დ. შაბაშვილი.

ანტრაქტებში დაუკრავს სამხედრო  
მუსიკა და ზურნა.

ადგილის ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისა სწორედ 8 1/2 სანთიკი

## შინაური ქრონიკა

=== წუხელის მეთორმეტე საათზე  
მუხრანთან ხილისა და მანქის ქუჩის  
შუა გაუზნდა ცეცხლი ანდრიას ავა-  
ქიანის სახლს, რომელზეც ყოფილა  
ბანკის ვალი. 28-ს ამ სახლზე ვაჭ-  
რობა უნდა მომხდარიყო. როდესაც  
ცეცხლის-მქრობი რაზმი მოვიდა—სახ-  
ლის ქვემო სართულზე ჯერ კიდევ  
არ გადასულიყო ცეცხლი. ანდრიას  
ავაქიანი დატუსაღეს. ცეცხლი ბა-  
ნიდამ გაჩენილა, სადაც ავაქიანი  
მწვანდა სწვავდა თურმე, ბიჭვ გაეს-  
ტუმრებინა და მარტო დარჩენილი-  
ყო.

=== ძალაქში გლეხებს—მეურმეებს  
ერთი ახალი გარდასახადი მიემატათ.  
როგორც მკითხველებსაც მოეხსენე-  
ბათ შემის ურმების დაყენება მრევა-  
ნის მეიდანზე აუკრძალეს და მერის  
ახალს მეიდანზე გადაიტანეს. მაგრამ  
მეურმეებს არც იქ აყენებენ უადგი-  
ლოების გამო და ქვემო—წყლის  
პირას ერევიან. იქვე მერის ხიდი-  
გან ჩასავალში დაუდგამთ რაღაც  
„ბუდეკა“, რომელიც ყოველი ურმის  
ასვლაზე და ჩამოსვლაზე 6 კაპიკს ახ-  
ლევინებს.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ

ბევრს შერმა გაუყიდავი მიაქვს უკან  
უმუშტრობის გამო და, აი, ამისთანა-  
საც კი 12 კაპ. ართმევენ.

=== ჩვენ შევიტყუეთ, რომ როდენ-  
საც ბალუსტოვის მცირე წლოვანი  
ქალის ჯერ გამაუბატიურებელი და  
მერე მკვლეელი ჯავახოვი ციხეში  
მიუყვანიათ, ტუსალები ისე გაბრაზე-  
ბულან, რომ სიკვდილს ემუქრებოდენ-  
ნო, რისაგამოც ციხის უფროსი იძუ-  
ლებული შეიქმნა ჯავახოვი ცალკე  
ოთახში დემწყვილი: იმასაც ამბობენ,  
რომ ჯავახოვის საქმეს სამხედრო სა-  
სამართლო განიხილავს.

=== ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს,  
რომ საქართველოს ეგზარხოსმა ძავე-  
კასიაში ქრისტიანობის გამაგრებელ-  
ბელ საზოგადოების ერთ წევრად, სხვათა  
შორის, „მწყემსის“ რედაქტორი მღვდ-  
ელი დ. ლამაშიძეც დანიშნაო, მაგრამ  
ახლა ამბობენ, რომ ლამაშიძის მაგივ-  
რად ძავეკასიის სამასწავლებლო ოლქის  
მზრუნველი პ. პ. იანოვსკი აარჩი-  
ნო.

=== ახალციხიდან გეაცნობებენ,  
რომ იქაურს სომხის ეკლესიაში წირ-  
ვის დროს დიდი უწყნოება მომხდარა:  
ხალხი „მეცივიწულა“ ეკლესიაში და  
სასულიერო პირთათვის შეურაცხყო-  
ფა მიუყენებია და ერთი მათგანისა-

## ქუთაისის სათაკად-ახნაურთა

### სასაველელის განყოფილება

მ. კ. ს. კ. ში

(შემდეგ \*)

აი ეს მიზეზი ელობება წინ ჩვენს  
სათავად-ახნაურთა სკოლას თვით ჩვენ-  
სავე სახლობაში და გარეშე დაბრკო-  
ლებაზე ნურას ვიტყვი, მაგრამ აქ  
ის უნდა გვაიმედებდეს, რომ სკოლას  
ექვს თვლით შესტკერიან მოსწავ-  
ლეთა მშობლები კი არა; ის პირნი  
კი არა, ვისაც სკოლისათვის გული  
სტკავთ, არამედ ისინი, ვინაც სკო-  
ლაზე ცუდი ლაპარაკის გამო მხო-  
ლოდ ორიოდ ტკბილს სიტყვას გა-  
იგონებენ,—და აი ეს არის „სა-ტა-  
ტა“ და „საქი“ პატარა-სათაკის დი-  
დი ბედნიერება. ახლა რა საფუძ-  
ველი აქვს სკოლის მოწინააღმ-  
დეგს? არაფერი. სკოლა არ უნახავს,  
მასწავლებელს ვერ იცნობს, მოსწავ-  
ლეებს არ ხედავს არც ეგზამენზე,  
არც წერის დროს, არც კითხვის დროს.  
სწავლების საქმე ისე იცის, როგორც  
მუნჯმა ლაპარაკი, პედაგოგიური ლი-  
ტერატურისა იმდენი გავგება, რამდე-

ნიც ვაღია-ჩემს ლათინურისა ვაგე-  
ბოდა. აუღია თავი და იძახის: „აბა,  
რა დაგაჩინათ ე ქართული სკოლა!  
ბანა იქილამ შოთა რუსთაველები და  
იყალბოვლები გამოვლენ?“ მაგრამ  
კმაზა. ამისთანა უხამსი სიტყვები ყო-  
ველთვის დახვედრია წინ ყოველს  
ახალ საქმეს და ჩვენი ახალი სკოლაც  
ვერ ასტდებოდა მას.

ახლა ჩვენ მივუბრუნდეთ ისევ სკო-  
ლის განხრის საქმეს და მის მიმდინა-  
რობას წლის განმავლობაში.

1884 წელს აგვისტოს 20-დამ პირ-  
ველს სექტემბრამდის მთხოვნელი არ  
შეწყვეტილა სკოლის ეზოში. აგერ  
გაიღო ალაყაფის კარები და ყაბალან-  
მობურული და ნაბად-მოსხმული აზ-  
ნაური, ფერად შეთხლებულ ცხენზე  
მჯდომარე შემოჯირითდა ეზოში;  
ცხენი მესერზე ჩამოაბა, ნაბადი მოი-  
ხადა და უნაგირის კოტაზე ჩამოჰკი-  
და, ყაბალანი მხრებზე ცალკიად გა-  
დიგლო და სახლის კიბეზე ამოიჭრა.  
მომესალმა და მკითხა: „თქვენა ბან-  
დებით, ჩვენი სასწავლებლის უფრო-  
სი?“—ზახლავარ-მეთქი, ეუბასუხე, ხე-  
ლი გულის ჯიბისკენ გასწია და ერთი  
ფურცელი გრძლად დაკეცილი ქაღალ-  
დი ამოიღო მასრების ქვეშიდგან  
შეიჭრდეთ ჯერ მასრებზე, მასრე-  
ბი სრულად არა ჰქონდა. მივრამეტი-

გან ოთხი-ლა დარჩენილიყო დროთა-  
ვითარებისაგამო და ესენიც, ვინ იცის,  
რომელი რომელს ეპოქას ეკუთვნო-  
და? მართი რომ ნეგარ-ხსენებულის  
ლევან ლადიანის დროის იყო, მეო-  
რე ჩიქიანების დანარჩენ ნაშთად  
ჩათვლებოდა. მომცა თხოვნა, რუ-  
სულად დაწერილი და ზედ დაყო-  
ლა: „ქართულად დაწერილები „ვა-  
ტონი“, მაგრამ რუსული უფრო სჭრი-  
ნო და ამიტომ ვადვიხადე სამი აბაზი  
დაწერის ქირაო. ამაზე მე ვუთხარ:  
თქვენ რადგანაც დაგიწერით, რაღა  
გაეწეობა, აგრე იყოს-მეთქი, და სხვებს  
შეუძლიანთ ქართულად დაწერილიც  
მოიტანონ, რადგანაც მნიშვნელობა  
ორივეს ერთი აქვს მეთქი. წავიდა  
მთხოვნელი, მაგრამ მისი სახე დღემ-  
დის თვალ-წინ მიდგას: თმა-აწეწილი  
ჰქონდა და ბუწუწების დათვლა ად-  
ვილად მოხერხდებოდა, თვალებს ძლი-  
ერ შორს დაეწიათ უკან და დამკუ-  
ნარ, მრგვალ ბუდეში ისხდენ, რო-  
მელსაც მწვანე ლენტის გვარი ღარი  
შემორტყმოდა შუბლი სრულიად  
დაღარული ჰქონდა და ლოყის კანი  
ჩალის ფერად ანაოკებოდა; კბილები  
ისე უსწორ-მასწოროდ იქნენ გალა-  
გებულნი ორივე ყბაზე, როგორც  
მასრება მის ჩახაზედ. სისხლის ნატა-  
მალი არსადა სჩანდა, მხოლოდ ზედა

ყბების გამოშვებულ ძვალზე გადაქი-  
მული ტყავი გასწითლებოდა დაკლერ-  
ქებულ დარჩენილ გასათხოვარი ქა-  
ლივით. ბეჭებში კავივით იყო მოხრი-  
ლი და მუცელი სანადიროდ გამო-  
წვრთნილი მწვევარივითა ჰქონდა გა-  
მომწლეული.

აი, ამან უნდა შემოიკვიროს თაე-  
სი შვილი სასწავლებელში. თუ მემკ-  
ვიდრობითი კანონი მართალია, ამის  
შვილს ძლიერ ცოტა სისხლი და სიძრ-  
თელის ნიშანი უნდა მოჰყვეს სასწავ-  
ლებელში. ახლა ამას დაეუმატათ  
შეგირდზე სკოლის ცუდ გარემოება.  
თა და პირობათა ცუდი გავლენა და  
მაშინ ცხადად წარმოგვიდგება მომა-  
ვალი ახალ-გაზდობის არა სანატრელი  
სურათი. სწორედ ამიტომ უნდა ცდი-  
ლობდეს ჩვენი საზოგადოება, რომ  
სკოლას მაინც მოეცილოთ ის პი-  
რობანი, რომელნიც სწავლის საქმეს  
წინ ელობებიან. აქ ბევრი რამ უნდა  
გვეთქვა, მაგრამ საკვლავოდ გარდაე-  
დოთ, რადგანაც უმისოდაც გავრძე-  
და ჩვენი ანგარიში.

რა კი მთხოვნელთა რაცხვი ვაკან-  
სიის ჩაოდნობას აღემატა, წილის  
ყრით უნდა მიგველო ყმაწვილები.  
როცა ეს გაიგო მთხოვნელ თავად-  
ახნაურობამ, იმ წამსვე შეეკნათ ერთ-  
მანეთში განმარბ-გამოსხმობით ლაპარა-

\*) იხილეთ „დროება“ № 133.



ტყველებს, თქმულის შინაარსი, რომლის საგანიც ყოველთვის ნამდვილ ცხოვრების მოვლინებაა, მაღალი ჭეშმარიტება სარწმუნოებისა და ზნეობისა, ადვილებს მწყემსთ-მთავრის მოქმედებას და გასაგონია თვით ყრმათათვისაც. აი, რა შინა ძალა მისი სიტყვისა. ამ იშვიათ ღირსებათა გამო, მისი ქადაგებანი გადასთარგმნა ერთმა ინგლისელმა პასტორმა ინგლისურს ენაზე, რომელიც დიდი მდიდარია საღვთისმეტყველო მწერლობითა.

ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს მოვიტანოთ ენისკოპოზის ქადაგებათა ნიმუშები. მაგრამ არ შეგვიძლია არ ვუთხროთ მკითხველებს ერთი მისი ქადაგება, რომელსაც დავსწარით მუთისის საკათედრო ეკლესიაში: ბზობა იყო. წირვის გამოსვლისას ყოველად სამღვდლო დადგა ჯეროვანს ადგილს და სულის წმინდის ლოცვის წარმოთქმის შემდეგ დიდხანს გაჩერდა. მტყუბობა ძლიერი მღვდლავრება სულისა. მერმე სთქვა დაახლოებით ქვემოთხსენებული:

«ოც-და-ხუთი წელიწადია გიმოდლებო, ოც-და-ხუთი წელიწადია გაკურთხებ ჩემს საყვარელ სამწყსოსა, და რას ვხედავ? მხედვე რომ აქამომდე ეკლესიაში დგომა ვერ გასწავლეთ, როგორც კი შეშვენის წმინდა ადგილსა. ბუშინდელი აღიქოთი ბზის დარიგების დროს მოხდენილი, ამას მიმტკიცებს. სხვა რითი უნდა ავხსნა, თუ არ მით, რომ ცოდვილი ცოფილვარ და ჩემს მოძღვრებას სარგებლობა არ მოუტანია. მარტო ეს არ არის. მაცნობეს ამბავი, რომ ამ დღეებში ვილაცებს გაუბედნიათ და წმინდა ბელათის ტაძარში პაპიროზით ხელში შესულან. რას ნიშნავს ყოველივე ეს? ნუ თუ ჩემნი ცოდვანი ასე დიდნი არიან... ღმერთო შეგვიწყალე...»

«ამ ნამდვილ დასაყვედრებელ ადგილს შესწყვიტა ქადაგება, ისე, რომ თითქმის ჩვეულებრივი «ამინიც» კი ვერა სთქვა. მიბრუნდა გველ ნაკბენსავე და შევიდა საკურთხეველში. ამ მოძღვრობამ დიდი შთაბეჭდილება და გავლენა იქონია მსმენელებზე.

მიყრუებული ადგილები სენაეთისა, რაჭისა, ლეჩხუმისა, რიონის პირებისა, ტფილისისა, მნგურისა და შოლოხისა, არა ერთხელ ყოფილა ეპისკოპოზის საქადაგებელ ასპარეზად. შოველვან სასულიერო ქადაგებასთან მღვდელმთავარი მჭევრმეტყველოდ უქადაგებდა მორწმუნეთა ჰუმანურ, კაცობრიულს ურთიერთობის ვალდებულებასა, ერთის სიტყვით იგი გამოდიოდა არა თუ ისე როგორც მქადაგებელი მხოლოდ სიტყვისა ღვთისა, არამედ გამოდიოდა ისეც, როგორც მისიონერი განათლებისა, მოღვაწე მოქალაქობრიობისა. მის არ ახსოვს მისი აღმძვრელი სიტყვა, იმერეთის თავად-აზნაურთა მიმართ ნათქვამი, როდესაც ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ის იყო საქმე იწყებოდა და როდესაც ამ საგანზე თავად-აზნაურებ-

თან ლაპარაკისათვის არა მცირედი გამხედლობა ეჭირებოდა კაცსა.

«მაგრამ... ყოველვან, სადაც დიდი სული თვის საიდუმლოს გამოსთქვამს, თავისი გოლგოთაა», როგორცა სთქვა ჰენემ. ზემთაგონებულ და ზარ-დამცემ მისს მოძღვრებას, მოუცილებელ სვლას სიმართლის და ჭეშმარიტების გზაზე, პირ-უთვნელს, მტკიცე მოპყრობას ადამიანთან და დროსთან ოც-და-ხუთის წლის მსახურების ჟამს არ შეეძლო არ აღმოეჩინა მის წინააღმდეგ ბოროტის მზრახვენი და მტრები იმ სამწყსოში, რომელიც მას მხურვალედ უყვარდა. იტყოდა თუ არა იგი მდიდარის კაცის ცნებაზე სიტყვას სახარების მუხლზე, «უადვილეს არს აქლემი განსვლად ხერგლსა ნემსისასა...» იტყოდა იგი მაღალ ხარისხიანის ცნებაზე სიტყვას, მუხლზე: «ამაო ამაოთა», — საზოგადოებაში უკმაყოფილება ისმოდა; შეეხებოდა თუ არა ნაკლულევანებას, საზოგადოებრივს ან რაიმე მოდის აზრებს და სხვათა, — მის წინააღმდეგ ჩნდებოდა უკმაყოფილება.

«შრიად დამორებული აზრი ჰქონდა ცხოვრების სიბრძნეზე, რომელიც ბძანებს, «ქვეყანაში მცხოვრებს, ქვეყნიური საქმე ჰმართებსა». ამ აზრის უქონელმა კაცმა რაკი პირველად მოიარა სამეგრელოს ეპარქია და სწორობა მასთან მხლებელი სამღვდლონი ქრთამებს იღებდნენ, — სამეგრელოს ბლაღოჩინებს მრისხანე ცირკულიარი მიუწერა და მეგრელებს უწოდა ზნეობით გახრწნილი ხალხი... აი, კიდევ მიზეზი გაჩნდა უკმაყოფილებისა მთელს საზოგადოებაში.

მღვდელ-მთავრის ქადაგებით გულნაკლულებს ემხრობოდნენ იმისთანა კაცება, ვისაც ეპისკოპოზისაგან წყენა ენახა ან დანაშაულობისათვის სასჯელი მიეღო. მას ესროლოეს ერთხელ, ესროლოეს ორჯელ მართელ მოუკლეს ახლო-მყოფი თანაშემწე სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, ამ ახლო ხანებში მოუკლეს სკერეტარი; უსახლოო წიგნების წერას, რომ შენც მოკლავთო, ბოლო არა აქვს.

«რამდენი შესამეცნებელი და სასარგებლო რამ მოგვცა მისმა ცხოვრებამ და რამდენს კიდევ მოგვცემს. მოვიგონოთ, მაგალითად, მისნი ქადაგებანი, ამ ახლო ხანებში მეორედ დაბეჭდილი და მიღებული ობილისის და მუთისის სამღვდლოთ კრებისაგან ეკლესიებში ბედნიერ-დღეებში საკითხველად; მოვიგონოთ მისი კაცის ღონეს გადამეტებული მეცადინეობა მუთისის სემინარიის დაფუძნებისათვის (მან მოსთხოვა სამღვდლოებას მოწყალეობასავეთ 300 ათასი მანათი ამ საქმისათვის; ეგონა, რომ დანარჩენი საქმე ფული მიეცემა უწ. სინოდისაგან, მაგრამ უწ. სინოდის უარის თქმის გამო, მისი განზრახვა ჩაიშალა); მოვიგონოთ მისი შესანიშნავი წერილები განსვენებულ მესევი ეგზარხოსთან და თავად ბიორგი მუხრან-ბა-

ტონთან მიწერილი მისი ბროშურის გამო; მოვიგონოთ ბოლოს მისი ხარჯით სამობლო ბუჩიის სოფელში ბახეში აშენებული მშვენიერი ეკლესია და იქვე დაფუძნებული ორკლასიანი სკოლა ნივთიერად სამუდამოდ ღონე მიცემული. არც ერთი საქმე, არც ერთი მოვლინება არ არის საზოგადო ხასიათის მექანი, რომელსაც იგი არ დახმარებოდეს განათლებულ კაცსავეთ და კაცთ-მოყვარე მწყემსსავეთ.

დარწმუნებული ვართ, რომ ყოველად სამღვდლო ბაბრიელ მოიპოვებს თვისში საქმაო ღონეს, რომ დანაშთენი თვისის სიცოცხლის დღენი კვალად მოახმაროს ივერიის ეკლესიის დაობლებულის ეგნახის სამსახურსა სანუგუმოდ მის რიცხვ-მრავალ პატივის-მცემელთა და სარწმუნოებისა და განათლების ჭეშმარიტ მოსახეთა. «დამთენი ბოლომდე სცხონდეს».. მოვალეობის აღსრულებამ აღმოუჩინა მას მტრები განხრწნილ საზოგადოების უმეტარ და წამხდარ ნაწილით-გან; მაგრამ ამ ხროვის განძინებული ავგულობა — უნდა გვეჯეროდეს და იმედი გვაქვს, — ვერ იზამს, ვერ გააქრობს ლამპარსა სარწმუნოებისასა, 25 წელიწადს მოღვაწეობის მშვიდის სხივით მანათობელს სასარგებლოდ მოკვასთა».

„დროების“ კორესპონდენცია

თელავი, თბილისის 22-ს. საზოგადოდ წელს თელავის მაზრაში რიგანი ნამუშევარი; მართალია, მისის ნახევრადის გოლვამ აშუშა ჰინახული, მაგრამ მისის ჩვიდმეტადამ დაწყებულმა ქუჩუნა წვიმებმა, დღე-ღამე-ღამე-ღამე მოშვებით, დედა მიწა გაალობო, ნამუშევარს სიცოცხლე მოჰგვარა და სასიკეთოსკენ გამოაბრუნა. მასს ხომ შესანიშნავად ასხია: ჯერ თელავის მაზრის არც ერთი სოფლიდგან არ გაგვიგონია, რომ ბუნების მოვლენას წელს ვაზისათვის რამე ზარალი მიეყენებინოს...

აქაც დაცხა ამ ბოლოს დროს, მაგრამ საღამოებით ისე გრილა, რომ «ნადიკვარხედ» გასეირნების დროს საშემოდგომო პალტო უნდა გვეცვას, რომ არ წამოგათქმევინოს — ცივა». საღამოობით «ნადიკვარი» სავსეა მოსეირნებით. და მართლაც სასიამოვნოა ხელის გულივით სწორის წინ-გადაშლილის ათას ფერად აყვავებულის და აბიზინებულის თვალ-მიუწვევლის პლანის პელის დანახვა და ბაღმა-მხრის მაღალი მთებისა, რომელთაც ჩაკონებული ლაქვარდი ღრუბელი მანტიასავეთ შამოჰხვევით წელზედ და მწერვალნი ცის სივრცეში მიუბჯენიათ... უსიცოცხლოსა-კვი სიცოცხლეს მოჰგვრის და არა ერთსა და ორს წარმოათქმევინებს ალტაცებით ჩვენის პოეტის სიტყვებს:

«მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო ორს ზღვას შუა გადაჭიმული,

თუმც პატარაა, — მაგრამ ბუნებით ყოვლის სიმდიდრით არის შემოვლილი...  
«მის დიდროვანს მსახურს მსახურსა შეხეთ, თითქო ცას ეხედინებან და იქიდაპა ტურფა ქვეყანას სიამაყითა თავს დასცქერიან!»  
\*\*\*

რაც შეეხება აქაურ ზოგიერთ ახალ-გაზდობის შეუფერებელს მოქმედებას ამაზედ ხმასაც არ ამოვიღებ... იმიტომ რომ... მობეზრდა საზოგადოებას ამაზედ ლაპარაკი... და მერე, მე არა მსურს დავარღვიო რედაქციისაგან დადებული «უეთი». არც ის ლექსი მინდა გადავსცე მკითხველებს სრულად, რომელსაც უმრავლესობა იმეორებს ერთს ახალ-გაზდაზედ:

... «მართალია მოიწველა ერთი ჯამი პატარაო, მაგრამ წინელი გაიქნია — ისიც თვითონ დაღვარაო»...

მე მინდა ამ ჟამად დაგვიანებული პასუხი მივსცე თელავის «ორი დღის სტუმარს ნიკოს» რომელმაც «დროების» 105 №-ში მოათავსა კორესპონდენცია და სხვათა შორის შეეხო აქაურს აკობასაც; მინდა დავანახო მას, თუ საქმის გაუცნობლობას რა შეცდომაში შეჰყავს მწერალი და მკითხველი საზოგადოებაც. «ღეს, სწერს ნიკო — თელავის დამზოგველი საზოგადოების უწესოებას და უყურადღებობას სამზღვარი აღარ აქვს: საქონელი ერმანეთში დომხალივით არის არეულ-დარეული. რა საკვირველია ეს მმართველების ბრალია და არ ვიცით ასე ხელი რად აუღიათ ბ. ბ. მმართველებს თავიანთ წმინდა და პატიოსან საქმეზედ... ღეს აქ ქართული წიგნების კვლასაც ვეღარ შეხედებით. უწინ ვერც არ იყო...»

მართლა რომ «ორი დღის სტუმარი» ყოფილა ნიკო და ალბად ახლად მიღებული საქონლის დაღაგების დროს შეუტყვერეთა ღებოში, თორემ მაგას თავის დღეში არ დასწერდა, რადგანაც მზგავსს ვერას ნახავდა. რაც შეეხება «მმართველობის» (გამგეობის) წევრებს — დამეთანხმეთ ბ. ნიკო, რომ დღეს საუკეთესო და ენერგიით სავსე გამგეობის წევრნი არიან ამორჩეულნი და მის (დებოს) საკეთილ-დღეოდ თავ-დადებით მოქმედებენ. რომ ეს ცარიელ სიტყვებად არ მიიღოთ — აქვე დაგისახელოებთ ზოგიერთს ფაქტებს:

ა) რამდენიმე დღისით და ღამით მოუტყენარი შრომით გამგეობის წევრთ დააყენეს ისეთს რიგზედ ღებოს საქმე, რომ თქვენ შეგიძლიათ რამდენიმე საათს გამოიანგარიშოთ დებოს მთელი ალებ-მიცემობა. მაშინ როდესაც ძველმა გამგეობამ წლის თავსაც ვერ გეჩვენა სრული ანგარიში დებოსი. ბ) ახალის გამგეობის ხელში იწერება დებოს დღიური ვაქრობა — რის ხსენებაც შარშან არ ყოფილა. გ) შოველს საღამოს გამგეობას მიაქვს დახლი (ნავაჭრი ფული) და შეაქვს სასარგებლოდ ბანკში საქონლის გამოწერადის. წარსული წლის გამგეობის ერთი წევრი-კი წინააღმდეგი იყო

